სიმღერა პირველი თოვლისა

ეს თოვლია, თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ,
ეხურათ ხავერდები...
ჩქარა, მინდა ვუყელო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!

ორმა გუნდმა კიდეეაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

წასულა და წასულა,
ნეტავ საით წასულან
ის პატარა სიზმრები?
სიჭაბუკის დღეები
შორიდან მომბღავიან,
როგორც მთიდან ირმები. . .

*
ვაO, შენ ჩემო თეთრო მტრედო,
გულო ჩემო კრიალა
საკალმახე წყალივით
ლექსი ვერ ვაწკრიალე,

 და როგორც
 ციცინათელა
 აბედს არ ეკიდება,

სიჭაბუკის გარეშე.
ლექსს ვინ მისცა დიდება?

*

- ეს ცრემლია, თუ გულმა
დასძრა ლექსის მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ
და ჰქონდათ იმედები.. .

- ეს ლექსია, თუ მღერის
გავლილ დღეთა კრებული -
გულია თუ მინდორი,
დილას მოფუტკრებული?

- არა!
ეს თოვლი არი
ვარსკვლავების ქაფითა,
არა, ეს მტრედებია,
მიმინომ დააფეთა!

ჩქარა
მინდა ვუყელო,
თოფი ბტყორცნო ხმიანი,
ჩქარა, ზარით მარხილი,
ოქროს ჩარდახიანი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრობა!